პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
17 აპრილი
1939 წ.
№ 88 (5488)
ფასი 10 კაპ.

იაღალეგისაკენ!

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ ვრცელდიოზული პროგრამა დაგვისახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ეს პროგრამა ფორმირებულია ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ მოხსენებაში შემდეგნაირად: „შემდგომ უფრო გავმაღლოთ ჩვენი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობა იმ ანგარიშით, რომ უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში მივაღწიოთ მარცვლეულის ყოველწლიურ წარმოებას 8 მილიარდი ფუთის რაოდენობით, ჰექტარზე 12-13 ცენტნერის საშუალო მოსავლიანობით, გავადიოთ წარმოება ტექნიკური კულტურების დარგში საშუალოდ 30-35 პროცენტით, გავადიდოთ ცხვრისა და ღორის სულადობა ერთი-ორად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა — 40 პროცენტით, ცხენების სულადობა—35 პროცენტით“.

ორდენოსანი საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წინაშე დიდი ამოცანები დგას მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში. მესამე ხუთწლედში კვლავ გაგრძელდება საქართველოს სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი ზრდა — განმტკიცება. საბჭოთა საქართველოში ჯოგის ბრუნვა გვაძლევს ყველა საშუალებას მესამე სტალინური ხუთწლიანი გეგმის სასახელოდ შესრულებისათვის. საჭიროა მხოლოდ დიდი მუშაობის ჩატარება საკვები ბაზის გაფართოებისა და პირუტყვის მოვლის საფუძვლიანად გაუმჯობესებისათვის.

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ჩავატარებთ პირუტყვის გარეკას საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე. მეცხოველეობის რაიონების მუშაკები ამ მხრივ მეტად პასუხსაგები მუშაობის პერიოდში შეეიდნენ. აპრილის ბოლო რიცხვებიდან პირუტყვი უნდა დაიძრას საზაფხულო საძოვრებისაკენ. მაგრამ მზადება ზოგიერთ რაიონში აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობა „ხარსის გლეხთა შრომაში“ მწყემსები ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არ არიან შერჩეულნი, 9 მწყემსისათვის არ შეუძენიათ ნაბდები, ფარაჯები. საძოვრებზე გასარეკი ცხვრის ხოვეტერინარული შემოწმება არ მოუხდენიათ. ამავე რაიონის ჯუგაანის ვორაშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ არ იციან რომელ საძოვარზე გაირეკება მათი ცხვარი. ეს გამონაკლისს როდი წარმოადგენს.

წითელწყაროს რაიონის ბევრ მწყემსს აკლია ნაბადი, საჭირო რაოდენობით არ აქვთ სპეცხალათები და სხვა საჭირო მოწყობილობა. რაიონს აკლია 3 ვეტექიმი და 8 ვეტფერშალი. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად ჯერჯერობით მიღებული არ არის ყველა საჭირო ზომა. როგორც წესი პირუტყვის დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა საზაფხულო საძოვრებზე გარეკის წინ ცხვარი გაიბანოს კრეოლინის ხსნარში. მაგრამ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს საამისო წამალი საკმაო რაოდენობით არ ვაჩნიათ.

მწყემსების საჭირო ტანსაცმლით და პროდუქტებით მომარაგების მხრივ დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული ცეკავშირს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა და მინადაჭრობის სახალხო კომისარიატებს, „სოიუზზაგოტშერსტს“ საქართველოს განყოფილებას. ჩვენს ხელთ არსებული მასალა მოწმობს, რომ ამ მხრივ მუშაობა სუსტად მიმდინარეობს. განსაკუთრებით ეს ითქმის „სოიუზზაგოტშერსტის“ საქ. განყოფილებაზე. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით „სოიუზზაგოტშერსტის“ საქმანყოფილებას 10 აპრილისათვის უნდა გაემზადებინა 1850 ნაბადი. მაგრამ მისი ხელმძღვანელები არღვევენ დაწესებულ ვადას და ამ სამუშაოს შეუწყნარებლივ აჭიანურებენ.

პირუტყვის საზაფხულო იალაღებზე გარეკა ფრიად პასუხსაგები სამუშაოა. მით უმეტეს, რომ მეცხოველეობის ძირითადი რაიონებიდან საზაფხულო საძოვრებზე გარეკილ უნდა იქნას ერთ მილიონზე მეტი სული პირუტყვი. მეცხოველეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები, სამეწარმოქმედო ორგანოები და საქმეწარსახკომის მეცხოველეობის სამმართველო უნდა გამიმსჭვალონ მეტი პასუხისმგებლობით პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე გარეკის სანიმუშოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ ორგანიზებულად მოვაწყოთ პირუტყვის გარეკა საზაფხულო საძოვრებზე. საუკეთესოდ მოვემზადოთ ამ საქმისათვის — ეს ნიშნავს იმას, რომ ამ სამუშაოზე გამოვყოთ საქმის მცოდნე და გულშემატკივარი მწყემსები, რომელნიც მუყაოთ შრომას ეწევიან. ნამატის მთლიანად შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის.

ყოველმხრივ უზრუნველყოთ მწყემსები ნაბდებით, ყველა საჭირო მოწყობილობით, პირველი მოთხოვნილების საგნებით.

არ დავუშვათ პირუტყვის გარეკის კალენდარული ვადების დარღვევა, სუსტი პირუტყვი ამთავითვე მოვამზადოთ მგზავრობისათვის და გადავიყვანოთ გაძლიერებულ კვებაზე. მაღალი მაჩვენებლების მიღწევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ პირუტყვს წესიერად გამოვკვებავთ და შევისწავლით მის ინდივიდუალურ თავისებურებებს. გარეკა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ არ დაეცეს არცერთი სული პირუტყვი.

საუკეთესოდ უნდა დავაყენოთ პირუტყვის ზოოვეტმომსახურება. ამ შემთხვევაში ფრიად პასუხსაგები ამოცანები დგას ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარ ექიმების წინაშე. სწორედ ზოოტექნიკოსები და ვეტექიმები უნდა გახდნენ თანმიმდევრული მებრძოლები მოწინავე ზოოვეტტექნიკის გადაჭრით და ფართოდ დანერგვისათვის. ეს არის საბჭოთა სპეციალისტების ღირსებისა და დიდების საქმე.

წინასწარ შემოწმებულ უნდა იქნას გასავლელი გზები და დასასვენებელი ადგილები, სრულ წესრიგში მოვიყვანოთ ხიდები, ბოგები. საქმეწარსახკომს ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მართებს, რათა შემდეგ არავითარ მოულოდნელობას არ ექნეს ადგილი.

დროულად უნდა იქნას მოყვანილი სრულ წესრიგში ყველა სახის ტრანსპორტი. ამ საქმის დაყოვნება შეუწყნარებელია.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, და საქმეწარსახკომმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ ამ საქმის საუკეთესო ორგანიზაციისათვის. მათს უნარიან ხელმძღვანელობაზე დამოკიდებულია სოციალისტური მეცხოველეობის წინაშე მდგომი ამოცანის ბრწყინვალედ შესრულება.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა აღაფრთოვანა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკები სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებთან ერთად ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ფართოდ გაიშალა მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება.

მეცხოველეობის მუშაკებო, კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, უახლოეს დღეებში გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და ნამდვილად სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე გარეკისათვის!

ДАМТАВРДА КОМКАВШИРის ТБИЛИСИს ОРГАНИЗАЦИИს АКТИВИს КРЕБА

გუშინ საღამოს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, რომელიც მიეძღვნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგების განხილვას, გაგრძელდა კამათი საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. მირცხულავას მოხსენების გარშემო.

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. გელაშვილი მოუთხრობს კრებას იმ არაჩვეულებრივი შრომითი ენტუზიაზმის შესახებ, რომელმაც მოიცვა ლენრაიონის ბუშა ახალგაზრდობა XVIII პარტყრილობის დღეებში.

ამხ. ყრუაშვილმა (საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი) ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც XVIII პარტყრილობამ დააყენა კომკავშირის წინაშე. მან გააკრიტიკა ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდის სახლის სუსტი ბუშაობა.

— XVIII ყრილობაზე, — სთქვა ამხ. ცაკაძემ (№ ნაწილის ალკკ კომიტეტის მდივანი),—დიდმა სტალინმა, გაუკეთა რა გენიალური ანალიზი დღევანდელ საერთაშორისო ვითარებას, მეტად მაღალი შეფასება მისცა წითელი არმიის ძალას საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებისა და ჩვენი შემდგომი წინსვლის საქმეში. ეს ჩვენ, არმიის კომკავშირელებს, გვავალებს კიდევ უკეთესად ვიმუშაოთ, ვიყოთ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები.

ამხ. შავშიშვილმა (რკინიგზის ტრანსპორტის ალკკ ორგანიზაცია) ილაპარაკა XVIII პარტყრილობის მასალების ღრმად შესწავლის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა: დარაშვილმა (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახ. რაიკომის მდივანი), კვარაცხელიამ (სახუნტი), კახაძემ (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი), ნონიკაშვილმა (საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი), გოშაძემ (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის ალკკ კომიტეტის მდივანი), ფანჩულიძემ („თბილვაჭრობა“), გვასალიამ (თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო) და ცქიტიშვილმა (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი).

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც იგი მთლიანად და სავსებით იწონებს XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებებს და მოუწოდებს თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციებს ბოლშევიკურად განახორციელონ მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანები.

მჭუხარე ოვაციებით და ხანგრძლივი ტაშით იქნა მიღებული მისალმება ამხანაგ **სტალინისადმი.**

აქტივის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ხ. იშხანოვმა.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

კოლმეურნეობებში თესლბრუნვის შემოღების თაობაზე სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ გაცემული ბრძანების გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა**

1. გაუქმდეს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ბენედიქტოვის ბრძანება თესლბრუნვის შემოღების შესახებ 40.000 კოლმეურნეობაში, ამ ღონისძიების მოუმზადებლობის გამო სსრ კავშირის მიწსახკომის მხრივ.

2. გამოეცხადოს საყვედური სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ბენედიქტოვს ამ ბრძანების გამოცემისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ნებადაურთველად. (საკდესი).

ხაბაროვსკის პარჯიული აქტივის კრება

13 და 14 აპრილს შესდგა ხაბაროვსკის პარტიული აქტივის კრება, რომელსაც ათასზე მეტი კომუნისტი დესწრო.

კრებამ მჭუხარე ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ავრეთვე ამხ. დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი, დოლორეს იბარური.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ყრილობის დელეგატი, პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. დონსკოი. მან კრებას მოუთხრო ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე.

აქტივი გულმხურვალედ შეხვდა მე-2 ცალკე წითელდროშოვანი არმიის სარდალს, არმიის მე-2 რანგის სარდალს ამხ. კონევს, რომელმაც აქტივს განუცხადა, რომ არმიის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები საბრძოლო მზადყოფნაში არიან და რომ მათ ყოველ წუთს შეუძლიათ ორმაგი დარტყმით უპასუხონ ომის გამჩაღებელთა დარტყმას.

აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მთლიანად იწონებს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება ამხანაგ სტალინს.

საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლა

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). 3 მაისს გახსნილ-დება რეგულარული რეისები საერთაშორისო საჰაერო ხაზზე მოსკოვი — რიგა-სტოკჰოლმი. როგორც სსრ კავშირის საერთაშორისო საჰაერო ხაზების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ვორობიოვმა გვაცნობა, ხაზი მოსკოვი-სტოკჰოლმი შეტანილია საერთაშორისო ხაზების საერთო განრიგებაში. ეს საშუალებას მისცემს მოსკოვიდან დილის 8 საათზე გაფრენილ მგზავრს იმავე დღეს ჩავიდეს ბერლინში, კოპენჰაგენში, ამსტერდამში, ლონდონში. აღ ხაზზე იფრენენ კომფორტაბელური მრავალადგილიანი თვითმფრინავები.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მძიმე მანქანათმშენებლობის საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივების დაჯილდოების შესახებ

ახალი მანქანების შექმნასა და ათვისებაში მნიშვნელოვანი წარმატებისათვის, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და სტახანოვური მუშაობის წარმატებით ორგანიზაციისათვის დაჯილდოებულ იქნან შემდეგი საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივები:

ლენინის ორდენით

1. ქ. ლენინგრადის კიროვის სახელობის მანქანათმშენებელი და მეტალურგიული ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.

2. ქ. კოლომნის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.

3. ურალის ქ. სვერდლოვსკის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.

4. ქ. მოსკოვის დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

ქ. მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა კოლექტივი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წ. 15 აპრილი.

მძიმე მანქანათმშენებლობის მუშაკთა დაჯილდოება

ახალი მანქანების შექმნისა და ათვისების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და მანქანების წარმოების დარგში სანიმუშო სტახანოვური მუშაობისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მძიმე მანქანათმშენებლობის 625 მუშაკი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 45 კაცი. მათ შორის: სტეფანე აკოპის-ძე **აკოფოვი**—ურალის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენი ქარხნის ყოფილი დირექტორი, ამჟამად მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრის მოადგილე, სერგეი მიხეილის-ძე **ამბრაძუევი** — ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის დაზგათსაშენი ქარხნის კონსტრუქტორი, სპირიდონ ვიქტორის-ძე **ბუტერი**—კიროვის ქარხნის მეფოლადე, იაკობ ეგორის-ძე **ვორონკოვი** — დაზგათსაშენი ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მესატეხე, ალექსანდრე ილარიონის-ძე **ეფრემოვი** — სერგო ორჯონიკიძის სახელობის დაზგათსაშენი ქარხნის ყოფილი დირექტორი, ამჟამად მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრის მოადგილე, ისააკ მოსეს-ძე **ზალცმანი**—კიროვის ქარხნის დირექტორი, იაკობ თეოდორეს-ძე **კაპუსტინი** — საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი კიროვის ქარხანაში, ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე **მალიშევი** — კოლომნის კუიბიშევის სახელობის ქარხნის ყოფილი დირექტორი, ამჟამად მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარი და სხვ.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 91 კაცი. მათ შორის: ივანე გიორგის-ძე **აბრამოვი** — ურალის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენი ქარხნის საამქროს უფროსი, დიმიტრი ანდრიას-ძე **ალექსანდროვი** — კიროვის ქარხნის მჭედელი, გრიგოლ ათანასის-ძე **ბარბაშევი** — ლენინის სახელობის დაზგათსაშენი ქარხნის საამქროს ზეინკალი, სერგეი ივანეს-ძე **ბლოხინი** — კრამატორსკის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის დირექტორი, დიმიტრი ფილიპეს-ძე **ბრაგინი** — საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ურალის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენ ქარხანაში, პეტრე სტეფანეს-ძე **ყოვულინი** — დაზგათსაშენი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მთავარი ინჟინერი, იაკობ ტერენტის-ძე **რემიზოვი** — მძიმე მანქანათმშენებლობის კავშირის ცკ. კ-ის თავმჯდომარე, მაქსიმე ზაქარიას-ძე **საბუროვი** — მძიმე მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველოს ყოფილი მთავარი ინჟინერი, ამჟამად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და სხვ.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 119 კაცი. მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 182 კაცი. მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 188 კაცი. (საკდესი).

მოსკოვის პრესის მუშაკთა აქტივის კრება

15 აპრილს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა ქ. მოსკოვის პრესის მუშაკთა აქტივის კრება, რომელიც მიძღვნილი იყო საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგებისადმი. მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდა კრება წინადადებას იმის შესახებ, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგებისა და პრესის ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს გამგის მოადგილე ამხ. პოსპელოვი.

ამხ. პოსპელოვის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა სილანტიევმა („მოსკოვსკი ბოლშევიკი“), მანდრუგინმა („სტროიტელნაია გაზეტა“), მანუილსკიმ („პრავდა“), შარონჩიკოვმა („ნა სტრაჟე“), ალექსანდროვმა (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველო), ოვსიანიკოვამ (პრესის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი).

კრებამ მისალმება გაუგზავნა ამხანაგ სტალინს. (საკდესი).

ამხ. მ. ი. კალინინი კიროვოგრადების ოჯახის წევრთა შორის, რომლებიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებით. პირველ რიგში—ა. ი. კორობოვი, მ. ი. კალინინი, ი. გ. კორობოვი; მეორე რიგში ნ. ი. კორობოვი და ი. ი. კორობოვი.

საკდესის ფოტოქრონიკა

რუზველტის მიმართვა ჰიტლერისა და მუსოლინისადმი

ნიუ-იორკი, 15 აპრილი (საკდესი). რუზველტმა გამოაქვეყნა ჰიტლერისა და მუსოლინისათვის გაგზავნილი მიმართვის შემდეგი ტექსტი: „მე დარწმუნებული ვარ, თქვენთვის გასაგებია, რომ ამჟამად მთელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანები მუდმივ შიშს განიცდიან ახალი ომის ანდა მთელი რიგი ომების წინაშე. ასეთი საშიშროებანი და ასეთი კონფლიქტის შესაძლებლობა უშუალოდ ეხებიან ამერიკის შეერთებული შტატების ხალხსაც, რომლის სახელითაც მე ვლაპარაკობ, აგრეთვე მთელი დასავლეთის ნაპევარსფეროს სხვა ქვეყნების ხალხებსაც. მათ ყველას ესმის, რომ ყოველგვარი დიდი ომის დროს, ეს ომი რომ სხვა კონტინენტებთაც იქნას შემოფარგლული, მისი სიმძიმე საგრძნობი იქნება არა მარტო ახლანდელი თაობისათვის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც. წინათ მე თქვენ მოგმართეთ წინადადებით, რათა მშვიდობიანი საშუალებით მოგეგვარებინათ პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პრობლემები, იარაღისთვის მიუმართავად. მაგრამ, როგორც სჩანს, მოვლენათა განვითარებამ გამოიწვია ის, რომ კვლავ დაიწყეთ იარაღით დამუქრებისათვის მიმართვა. თუ ასეთი მუქარა გაგრძელდება, მაშინ ცხადია, რომ მსოფლიოს მეტი ნაწილი აუცილებლად გადაიქცევა ნანგრევებად. მთელი მსოფლიო — გამარჯვებული ქვეყნები, დამარცხებული და ნეიტრალური ქვეყნები — ტანჯვის ობიექტი გახდებიან. მე არ მინდა დავიჯერო, რომ მსოფლიოს აუცილებლად მოელის ასეთი ბედი. პირიქით, ცხადია, რომ დიდი ერების ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული გაანთავისუფლონ თავიანთი ხალხები მოახლოებული კატასტროფისაგან. აგრეთვე, ცხადია, რომ თვით ხალხებს სულითა და გულით სურთ, რომ მათს შიშს ბოლო მოეღოს.

სამწუხაროდ, საჭიროა აღინიშნოს უკანასკნელი ფაქტები. სამმა ქვეყანამ ევროპაში და ერთმა ქვეყანამ აფრიკაში შესწყვიტა თავისი დამოუკიდებელი არსებობა. მეორე დამოუკიდებელ ქვეყანაში, შორეულ აღმოსავლეთში, ვრცელი ტერიტორია ოკუპირებულია მეზობელი სახელმწიფოს მიერ. ცნობები, რომელთა დაჯერებაც ჩვენ არ გვინდა, ადასტურებენ, რომ მზადდება აგრესიის ახალი აქტები სხვა, ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ.

არაფერს შეუძლია დააჯეროს მთელი მსოფლიოს ხალხები, რომ რომელიმე მთავრობას უფლება აქვს ან ესაჭიროება ომის მთელი საშინელება განაცდევინოს თავის საკუთარ ან სხვა ხალხებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭირო ხდება საკუთარი ქვეყნის დაცვა. გაგვიგია რა ასეთი განცხადებით, ჩვენ, ამერიკელებს ეგოიზმის გრძნობა, შიში, ან სისუსტე როდი გვალაპარაკებს. თუ ჩვენ ასეთი განცხადებით გამოვდიგავართ, ეს არის ძლიერებისა და მთელ კაცობრიობასთან მეგობრობის ხმა“.

შემდეგ რუზველტი თავის მიმართვაში აღნიშნავს, დარწმუნებული ვარ რომ შესაძლებელია საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა სამშვიდობო კონფერენციაზეო. მაგრამ „საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ გაგზავნილი მიმართვის პასუხად არ შეიძლება ჩაითვალოს იმ მხარის განცხადება, რომელიც ამტკიცებს, რომ თუ იგი წინასწარ არ ეიღებს დაპირებებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ გადაწყვეტილებათა გამოტანას მის სასარგებლოდ, იგი არ დაჰყრის თავის იარაღს“.

რუზველტი შემდეგი კითხვით მიმართავს გერმანიის და იტალიის მთავრობებს:

„მზად ხართ თუ არა თქვენ მოგვცეთ დაპირება, რომ თქვენი შეიარაღებული ძალები თავს არ დაესხმიან ან არ შეიჭრებიან შემდეგი დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიაზე ან სამფლობელოებში: ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, შვეიცის ნორვეგიის, დანიის, ჰოლანდიის, ბელგიის, ინგლისის, ირლანდიის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, შვეიცარიის, ლიხტენშტაინის, ლუქსემბურგის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, სსრ კავშირის, ბულგარეთის, საბერძნეთის, თურქეთის, ერაყის, საუდის, სირიის, პალესტინის, ეგვიპტისა და ირანისა, ასეთი დაპირება, ცხადია, უნდა შეეხებოდეს არა მარტო დღევანდელ დღეს, არამედ მომავალსაც, ამასთან საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს, რათა ყოველგვარი შესაძლებლობა გამოყენებულ იქნას მუდმივი მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის მშვიდობიანი საშუალებებით. ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი, სიტყვა „მომავალი“ გაგებულ იქნას, როგორც ისეთი, რომელიც ეხება მინიმალურ პერიოდს, რომლის განმავლობაში გარანტირებული იქნება თავდაუსხმელობა, სულ ცოტა 10 წლის ან 25 წლის ხანგრძლივობისა, თუ ჩვენ გადავწყვეტთ ასე შორს ვიცქიროთ წინ“.

თუ ასეთი გარანტიები მოცემულ იქნება, ნათქვამია მიმართვაში, მაშინ შეიძლება დაუყოვნებლივ განვიხილოთ მშვიდობიან პირობებში შეიარაღების ეფექტური შემცირებისა და საერთაშორისო ვაჭრობის საკითხთა მოწესრიგების ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იმ მიზნით, რათა თვითეულ ქვეყანას უზრუნველყოფილი ექნეს თანაბარი პირობები მსოფლიო ბაზარზე, აგრეთვე ეიცეს იმის გარანტია, რომ იგი მიიღებს მისთვის საჭირო მასალებსა და ნედლეულს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მზადაა მონაწილეობა მიიღოს ამ მოლაპარაკებაში. მიმართვაში კვლავ ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო პრობლემების შესწავლა და განხილვა უნდა ხდებოდეს მშვიდობიან ვითარებაში. მაგრამ ასეთი ვითარება შეუძლებელია არსებობდეს, თუ მოლაპარაკება იწარმოებს ძალის გამოყენების ნუკარის ან ომის საშიშროების პირობებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის დეპეში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბ-ნ ფრანკლინ რუზველტისადმი

ბატონო პრეზიდენტო,

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია გამოგიცხადოთ თქვენ ღრმა თანაგრძნობა გულითად მოლოცვასთან ერთად კეთილშობილური მოწოდების გამო, რომლითაც თქვენ ეიმართეთ გერმანიისა და იტალიის მთავრობებს. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენი ინიციატივა უაღრესად მხურვალე გამოძახილს პოულობს საბჭოთა სოციალისტური კავშირის ხალხთა გულში, რომლებსაც გულწრფელად აინტერესებთ საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვა.

კალინინი

16 აპრილი, 1939 წ.

ЦЕНТРАЛЬНАЯ ГОСУДАРСТВЕННАЯ БИБЛИОТЕКА

ЦАГ ГОСУДАРСТВЕННАЯ БИБЛИОТЕКА

ფართოდ გამოვეხმაუროთ მოსკოვის ოლქის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა მოწოდებას

ერთსულოვნად მოიწონეს

გორი, (საკ. კორ.). 14 აპრილს გორის რაიონის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირზე დიდი აღფრთოვანებით იქნა განხილული მოსკოვის ოლქის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირის მიმართვა სსრ კავშირის ყველა სასოფლო საბჭოსადმი.

მიმართვის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნებული იყო 12 აპრილის გაზეთ „კომუნისტში“, თათბირის მონაწილეებს გააცნო გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ჯაბაურმა. სიტყვებით გამოსულმა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებმა ი. მელანაშვილმა, გ. ჩიხლადეძემ, ა. ბესთავაშვილმა, რ. ფაშტანმა, ი. გასიტაშვილმა, დ. ბასილაშვილმა, ი. მთვარელიძემ, ტ. ბაგლიაშვილმა, ვ. შატაკიშვილმა, შუღლიაშვილმა, ბიბილაშვილმა და სხვებმა, ერთსულოვნად მოიწონეს მოსკოვის ოლქის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირის წინადადება და აღფრთოვანებით ჩაებნენ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში. გორის სასოფლო საბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ვარიანის სასოფლო საბჭო; ტყვიავისამ — მერეთის; ახალუბნისამ—ძევრის; ურბნისისამ — რუისის; ბერშუეთისამ — ხურვალეთის სასოფლო საბჭო და ა. შ. ერთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება რაიონში არსებული 33 სასოფლო საბჭო. მათ აიღეს ვალდებულება მთლიანად შეასრულონ ის პირობები, რასაც მოსკოვის ოლქის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები კისრულობენ.

გორის რაიონის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებმა იკისრეს შაქრის ჭარხლის მოსავალი ყოველ ჰექტარზე საშუალოდ გაზარდონ 400 ცენტნერამდე, ხილის (მსხმოიარე ბაღებიდან) — 100 ცენტნერამდე, ბოსტნეულის მოსავალი— 90 ცენტნერამდე, სიმინდი — 20 ცენტნერამდე და სხვ.

ხ. ყურაშვილი.

მოსკოველთა მოწოდების პასუხად

მოსკოვის ოლქის სოფლის საბჭოების თავმჯდომარეთა მოწოდება უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს სოფლსაბჭოების მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ დოკუმენტს ფართოდ გამოეხმაურნენ გურჯაანის რაიონის სასოფლო-

ალბანეთი. გლეხები ქალაქ ტირანის ბაზარზე. საკდესის ფოტოქრონიკა

კორფუს კუნძულის სტრატეგიული მნიშვნელობა

იტალიის მიერ ალბანეთის ოკუპაციასთან დაკავშირებით, ბალკანეთისა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. საერთაშორისო მდგომარეობის მძაფრად გამწვავების გამო, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ბიპარმინიოსი კორფუს კუნძულისაკენ (კერკირის კუნძულის ბერძნული სახელწოდება). როგორც ცნობილია, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩემბერლენმა თემთა პალატაში გამოსვლის დროს 13 აპრილს სთქვა, რომ „ინგლისის მთავრობა განსაკუთრებით სერიოზულად მოეკიდებოდა ამ კუნძულის ოკუპაციის ფაქტს, ვისგანაც უნდა ყოფილიყო იგი მოხდენილი". ეს ცხოეთის პრესა იუწყებოდა, იტალია ემზადება კორფუს კუნძულის ოკუპაციისათვის. პრესა აგრეთვე იუწყებოდა, რომ ინგლისმა კორფუს კუნძულიდან მახლობლად თავი მოუყარა ხმელთაშუა ზღვის თავისი სამხედრო ფლოტის ნაწილს. საბერძნეთის კუნძულ კორფუს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. კორფუს კუნძული მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ალბანეთსა და იტალიას შორის, თვით ადრიატიკის ზღვის შესასვლელთან და გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ამ შესასვლელის მიმართ. კუნძულის ფართობი 720 კვ. კილომეტრს უდრის, მოსახლეობა 100 ათას კაცს აღემატება. კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს ქალაქი კორფუ, რომელიც კორფუს პროვინციის ადმინისტრატიულ ცენტრს წარმოადგენს და სადაც დაახლოებით 35 ათასი მკვიდრებია. კორფუს კუნძულს ბალკანეთის ნახევარკუნძულისაგან ჰყოფს 2,5 კილომეტრი სიგანის სრუტე.

მიისწრაფის რა ადრიატიკის ზღვაში, განუყოფელი ბატონობისაკენ, იტალია უკვე დიდი ხანია ცდილობს ხელში ჩაიგდოს კორფუს კუნძული. მაგალითად 1914-1918 წლების იმპერიალისტური ომის შემდეგ საბერძნეთისადმი ფინანსიური პრეტენზიების საბაბით იტალიამ დროებით მოახდინა კორფუს ოკუპაცია. 1923 წელს იტალიამ გამოიყენა საბერძნეთის ტერიტორიაზე იტალიელი ოფიცრის მოკვლის ფაქტი და კვლავ მოახდინა კორფუს ოკუპაცია. იტალიის ჯარი კუნძულიდან გაყვანილ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში ერთა ლიგა ჩაერია. იტალია ეწევა კორფუს კუნძულის გაძლიერებულ კოლონიზაციას. იტალიელთა თავხედურმა საქციელმა 1933 წლის ოქტომბერში გამოიწვია სისხლისმღვრელი შეტაკება ბერძნებსა და იტალიელებს შორის.

ინგლისის სტრატეგიული ინტერესები ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოადგენენ იმის შიზეზს, რომ ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტი ხშირად აწყობს თავის მანევრებს კორფუს რაიონში.

15 აპრილი. (საკდესი).

თურქეთის პრესა იტალიის დაპირებათა შესახებ

ანკარა, 15 აპრილი (საკდესი). ეხება რა იტალიის მთავრობის ამასწინანდელ განცხადებას, რომ იტალია პატივისცემით მოეკიდება საბერძნეთის დამოუკიდებლობას, თურქული გაზეთი „ვაკიტი" სწერს, რომ იტალიის დაპირებათა ფასი შემოწმებულია ალბანეთის მწარე გამოცდილებით. შემდეგ გაზეთი მიუთითებს, რომ იტალიის პრესამ არამეგობრული პოზიცია **დაიკავა** არა მარტო საბერძნეთისა და ბალკანეთის სხვა ქვეყნების მიმართ, არამედ თურქეთის მიმართაც. „უკვე არ შეიძლება ვენდოთ იტალიის გარანტიებს, — სწერს გაზეთი, — ჩვენ ვენდობით მხოლოდ თურქეთის არმიის გარანტიებს".

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელ, შანხაელ და ლონდონელ კორესპონდენტთა ცნობების მიხედვით)

ჩრდილო ჩინეთში

როგორც გამოირკვა, კაიფინში (ხენანის პროვინცია) მოხდარი ბრძოლების დროს, 10 და 12 აპრილს იაპონელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაჰკარგეს 700 კაცი. ჩინეთის ნაწილებმა ტყვედ ჩაიგდეს 120 კაცი. ქალაქზე თავდასხმის დროს ჩინელმა პარტიზანებმა მოსპეს იაპონელთა სამხედრო საწყობები, დასწვეს ყაზარმები, ააფეთქეს წყალსაწნეო რკინიგზის კოშკი, დაანგრიეს რკინიგზის სასადგურო ლიანდაგები. ამჟამად ბრძოლა სწარმოებს კაიფინის მიდამოებში.

არსებული ცნობების თანახმად, კაიფინისაკენ სამი მხრით მიიწევენ იაპონელთა დიდი დამხმარე ძალები.

ჯუ დეს განცხადება

ჩუნცინი, 15 აპრილი (საკდესი). გაზეთმა „სინხუაიბამ" გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის სუბარი ჩინეთის მე-8 სახალხო-რევოლუციური არმიის სარდალთან და შანხის სამხედრო ზონის სარდლის მოადგილე ჯუ დესთან.

„იაპონიელებს, — განაცხადა ჯუ დემ, — არ ძალუძთ უზრუნველჰყონ თავიანთი კონტროლი ჩრდილო ჩინეთში.

ყველა გზა და ქალაქები, როგორც ეს ეს ... ...